



TBILISI.GOV.GE

# თბილისის მერია

ქ. შარტავას ქ. №7

182

სარეგისტრაციო ნომერი:

07/154468-7

თარიღი:

15.11.11.

ქალაქა თბილისის მერს

ბ-ნ გ.უგულავას

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მერიამ 2011 წლის 23 სექტემბერს გამოაცხადა ტენდერი თბილისში, გამარჯვების პარკის ტერიტორიაზე მედიათეკის აშენების მიზნით (სატენდერო განცხადების №SPA110024703). 2011 წლის 17 ოქტომბერს შეწყდა განცხადებების მიღება, ხოლო 2011 წლის 3 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება შპს "გონთან", რომელსაც დაევადა მედიათეკის შენობის აშენება მითითებულ ტერიტორიაზე.

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის" მიხედვით "გამარჯვების პარკი"-ს ტერიტორიას მინიჭებული აქვს სარეკრეაციო ზონის (რზ-2) სტატუსი. რაც ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" მე-19 მუხლის ნიშნავს, რომ "სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,2“ შარეკრეაციო ზონა 2-ში დასაშვებია შემდეგი ობიექტების ფუნქციონირება:

- პარკი;
- ბაღი;
- სკვერი;
- ბულვარი;
- დეკორატიული გაფორმების ობიექტი;
- მცირე არქიტექტურული ფორმები: საპარკო პავილიონი, როტონდა, ფანჩატური,

პერგოლა, ურნა, ტრელაჟი, საბავშვო მოედანი, შადრევანი, დეკორატიული აუზი, წყლის სასმელი შადრევანი, ვასკადი, არხი, ღია კიბე და პანდუსი, საყრდენი კედელი და სხვ;

- სკულპტურულ-არქიტექტურული მონუმენტი;
- სპორტული მოედანი;
- პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი;
- სავაჭრო კიოსკი, სავაჭრო და საგამოფენო პავილიონი;
- ატრაქციონი;
- საწყალოსნო ობიექტი (ნავმისადგომი, ელინგი);
- საზოგადოებრივი ტუალეტი.

ხოლო სპეციალურ ზონალური შეთანხმებები საჭიროა:  
ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;

სასტუმრო;

სამაყურებლო ობიექტი (ესტრადა, ამფითეატრი, საგამოფენო დარბაზი, ღია და გადახურული კინოთეატრი);

სპორტულ-ფიზკულტურული ნაგებობა (სტადიონი, სათამაშო მოედანი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული საცურაო აუზები);

სათამაშო ავტომატების დარბაზი, საბილიარდო, კაზინო და ა.შ.;

ზოოპარკი;

კაფე, რესტორანი;

სასკოლო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზებული დაწესებულებები;

სამეურნეო ობიექტი და მისი ფუნქციონერებისთვის განკუთვნილი ადმინისტრაციული შენობა, საყოფაცხოვრებო სათავსები, სახელოსნოები, გარაჟები და საწყობები);

საკულტო შენობები და ნაგებობები;

ღია მიწისქვეშა ავტოსადგომები.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი 2007 წლის 1 ოქტომბრის №3/181 ბრძანებით “ამარჯვების პარკი” წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

ხოლო ამავე კანონის 22-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ: ” ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას. “ .

2011 წლის 9 ნოემბერს შედგა ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომა, რომელმაც თავისი 43-ე ოქმით მისცა თანხმობა “ქ.თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში ილ.ჭავჭავაძის გამზირის №76-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი № 01.14.10.002.049) მედიათეკის (სამაყურებლო, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვება) ქალაქმშენებლობითი პირობებისა და სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე”

მიგვაჩნია რომ აღნიშნული სხდომა და მიღებული ოქმი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ:

- სხდომის მონაწილეები არ იყვნენ ინფორმირებულები, რომ ნებართვის გაცემა ხდებოდა “გამარჯვების პარკის” ტერიტორიაზე (ყველგან მოხსენებულია “ილ.ჭავჭავაძის გამზირის №76-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე”);
- სხდომის მონაწილეები არ იყვნენ ინფორმირებული “გამარჯვების პარკის” სამართლებრივი სტატუსის შესახებ (ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია);
- ოქმის მიმღები და შესაბამისად გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო არაუფლებამოსილი იყო, რადგანაც “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის 21(3) პრიმა მუხლის თანახმად: “ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციას ამტკიცებს და მშენებლობის ნებართვას (გარდა არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვისა, საკულტო ნაგებობებზე სამუშაოების ნებართვისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის ნებართვისა) გაცემს ქალაქ თბილისის მერია ქალაქ თბილისის მერიისა და სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე”, ასეთი ორგანო კი საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს-“გაერთიანებული მეთოდური საბჭოა”, რომელსაც უნდა განეხილა და გადაეწყვიტა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის “გამარჯვების პარკის” ტერიტორიაზე რაიმე სახის ობიექტის მშენებლობაზე ნებართვის მიცემის საკითხი.

ქალაქ თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და ამ ტენდერის დოკუმენტაციაში არ არსებობს ის კანონით დადგენილი დოკუმენტაცია, რომელთა არსებობაც აუცილებელია “გამარჯვების პარკის” ტერიტორიაზე მედიათეკის ასაშენებლად. (აუცილებელია გაერთიანებული მეთოდური საბჭოს სხდომის ოქმი)

აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ მედიათეკის აშენებას ეწირება დაახლოებით 15-20 მრავალწლიანი ნარგავიც.

მიგვაჩნია რომ გამოცხადებული ტენდერი და მისი დოკუმენტაცია არ პასუხსობს და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რაც გამოიხატება იმაში რომ უგულვებელყოფილია “გამარჯვების პარკის” ფუნქციონალური ზონის სტატუსი, მისი კულტურული მემკვიდრეობითი მნიშვნელობა, ეწინააღმდეგება ქ.თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების ამსახველ დოკუმენტს და იქ დასახულ ქ.თბილისის მერიის მიზნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე; 181-ე; 183-ე; 184-ე; 185-ე; 194-ე; 198-ე და 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გთხოვთ:

1. მიიღოთ წარმობაში წინამდებრე ადმინისტრაციული საჩივარი;
2. გვაცნობოთ საჩივრის ზეპირი განხილვის დრო და ადგილი;

3. შეახეროთ SPA110024703 ტენდერის შედეგების შემაჯამებელი 2011 წლის 28 ოქტომბრის №4 ოქმის და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების (2011 წლის 3 ნოემბრის № 010407/30/356 სელშეკრულება) მოქმედება წინამდებარე საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
4. შეახეროთ ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2011 წლის 9 ნოემბრის სხდომის 43-ე ოქმისა და მის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მოქმედება სხდომის ოქმის 33-ე საკითხთან დაკავშირებით.